ქ. თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე (მიწის ნაკვეთის ს.კ. 01.18.03.003.021) მდებარე შენობის გაბარიტების გარეთ არსებულ კიბის საფეხურების ნაწილზე მსუბუქი კონსტრუქციებით შესრულებული და შუშის მოაჯირით შემოზღუდული ღია ფართის მოწყობის და შენობის მზიდ კონსტრუქციებზე მისი შესაძლო გავლენის დადგენა

საექსპერტო დასკვნა

თბილისი 2022

საექსპერტო დასკვნა

თბილისი 12 ივნისი 2022წ.

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს საექსპერტო დასკვნას ქ. თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე (მიწის ნაკვეთის ს.კ. 01.18.03.003.021) მდებარე შენობის გაბარიტების გარეთ მთავარი ფასადის მხარეს არსებულ კიბის საფეხურების ნაწილზე მსუბუქი კონსტრუქციებით (ლითონის ნაგლინი პროფილის მილკვადრატები) შესრულებული და შუშის მოაჯირით შემოზღუდული ღია ფართის მოწყობის და შენობის მზიდ კონსტრუქციებზე მისი შესაძლო გავლენის თაობაზე.

საექსპერტო დასკვნის შედგენის საფუძველია:

- დამკვეთსა და ექსპერტს შორის დადებული ხელშეკრულება;

- საქართველოს მთავრობის N57 დადგენილების (2009 წლის 24 მარტი) “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობები”;

- საქართველოში მოქმედი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია (სამშენებლო ნორმები და წესები, ასევე სტანდარტები).

საექსპერტო დასკვნა შედგენილია არსებული შენობის მზიდი კონსტრუქციების ადგილზე დეტალური ვიზუალური კვლევის და გარე კიბის საფეხურების ნაწილზე მოსაწყობი ღია ფართის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილის საპროექტო ტექდოკუმენტაციის საფუძველზე. ჩვენს მიერ მოპოვებული და დამუშავებული ინფორმაციის ანალიზის შედეგები იმ მოცულობისაა, რაც ობიექტების მდგომარეობის განმსაზღვრელ პარამეტრებზე ობიექტური საექსპერტო მსჯელობის საფუძველს იძლევა.

I. საექსპერტო დასკვნის მიზანი.

- საექსპერტო დასკვნის მიზანია შენობის ტექნიკური მდგომარეობის ვიზუალური კვლევა-დათვალიერება, მთავარი ფასადის მხარეს არსებული გარე კიბის საფეხურებზე მსუბუქი კონსტრუქციებით შესრულებული, შუშის მოაჯირით შემოზღუდული ღია ფართის მოწყობის და შენობის მზიდ კონსტრუქციებზე მისი შესაძლო გავლენის დადგენა.

II. ექსპერტიზის ხარისხის პარამეტრები.

წინამდებარე საექსპერტო დასკვნაში შეფასების ხარისხი განისაზღვრება შემდეგი პარამეტრებით:

- მტკიცებულებები და ფაქტები, რომლებიც მოყვანილია მოცემულ დასკვნაში არის სამართლიანი და კორექტული;

- წარმოდგენილი დასკვნა ითვალისწინებს გარკვეულ დაშვებებს, რომლებიც გამოხატავენ ჩემს დამოუკიდებელ და პროფესიონალურ შეხედულებებს. იგი არ არის დატვირთული არანაირი პირადი ინტერესებით.

III. მიღებული დაშვებები:

საექსპერტო დასკვნა მომზადებულია შემდეგი დაშვებების გათვალისწინებით.

- დამკვეთის ხელთ არსებული არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილის საპროექტო დოკუმენტაცია ჩვენთვის გადმოცემულია სრული მოცულობით;

- ნახაზებზე მოცემული მიბმის ზომები და ნიშნულები ზუსტად ასახავს ადგილზე რეალურ მდგომარეობას.

IV. ექსპერტიზისთვის წარმოდგენილ იქნა შემდეგი დოკუმენტაცია:

- ქ. თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე (მიწის ნაკვეთის ს.კ. 01.18.03.003.021) მდებარე შენობის აზომვითი ნახაზები;

- შენობის მთავარი ფასადის მხარეს არსებულ კიბის საფეხურების ნაწილზე მსუბუქი კონსტრუქციებით (ლითონის ნაგლინი პროფილის მილკვადრატები) მოსაწყობი და მოაჯირით შემოზღუდული ღია ფართის არქიტექტურული და კონსტრუქციული საპროექტო დოკუმენტაცია.

ქ. თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე (მიწის ნაკვეთის ს.კ. 01.18.03.003.021) მდებარე შენობა წარმოადგენს ორსართულიან ნაგებობას სარდაფით, რომელიც გეგმაში რთული მოხაზულობისაა. სარდაფის სართული 90სმ-ით მაღლაა არსებული რელიეფის ნიშნულიდან და აღნიშნული ფართი ნათდება და ნიავდება ზეძირკვლის კედლებში არსებული ფანჯრებით. შენობაში შესვლა ხორციელდება მთავარი ფასადის მხარეს მდებარე კიბით და უკანა ფასადზე (მდ. მტკვრის სანაპიროს მხარეს) არსებული ორი კიბით. სამივე კიბე შენობის ფართის გარეთაა განთავსებული და არ არის გადახურული. მთავარი ფასადის მხრიდან შენობაში შესასვლელი კიბის

ორივე მხარე ერთსართულიანი ნაკვეთურებია, რომელთა გადახურვა ბრტყელია და მათზე ღია ტერასებია მოწყობილი. მეორე სართულზე ასვლა ხდება რკინაბეტონის ორმარშიანი კიბით, რომელიც მთავარი ფასადიდან მარცხენა მხარეს შენობის შიდა ფართშია განთავსებული.

არსებული ორსართულიან შენობის (სარდაფით) დეტალური ვიზუალური კვლევის შედეგად დადგინდა: შენობა არ განიცდის არათანაბარ ჯდენებს, ხოლო მის მზიდ შემომზღუდავ და თვითმზიდ მონოლითური რკინაბეტონის და წვრილი ბლოკის კედლებში, ასევე სართულშუა გადახურვის და დახურვის ფილებში არ გამოვლენილა რაიმე სახის დეფორმაციები და დაზიანებები.

პროექტის არქიტექტურული ნაწილის თანახმად შენობის მთავარი ფასადის მხარეს, მისი გაბარიტის გარეთ არსებულ კიბის საფეხურების ნაწილზე ეწყობა ღია (გადაუხურავი) ფართი, რომელიც შემოზღუდულია შუშის მოაჯირით. იატაკის ნიშნულის ქვეშ ფართის პერიმეტრზე ეწყობა ფილით მოპირკეტება, რომელის შეთავსებულია კიბის საფეხურების ფერთან (იხ. დართული არქიტექტურული პროექტი). პროექტის კონსტრუქციული ნაწილის თანახმად აღნიშნული ღია ფართი განხორციელებულია მსუბუქი, ლითონის ნაგლინი პროფილებით (60x60x4 კვეთის მილკვადრატები) შესრულებული სივრცული კონსტრუქციით. იატაკის და მოპირკეტების ფილების სამაგრი ჩაროები ასევე მილკვადრატებითაა განხორციელებული კვეთით - 40x40x2 (იხ. დართული კონსტრუქციული პროექტი).

დასკვნა:

ქ. თბილისში, დედაენის პარკის ტერიტორიაზე (მიწის ნაკვეთის ს.კ. 01.18.03.003.021) მდებარე შენობის მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომრეობა დამაკმაყოფილებელია. მთავარი ფასადის მხარეს შენობის გაბარიტების გარეთ არსებულ კიბის საფეხურების ნაწილზე მსუბუქი კონსტრუქციებით განხორციელებული და შუშის მოაჯირით შემოზღუდული ღია ფართი არ არის შეხებაში შენობის მზიდ და შემომზღუდავ კონსტრუქციებთან და შესაბამისად არ ახდენს გავლენას მის საერთო სიმტკიცესა და მდგრადობაზე.

დანართი: შენობის გაბარიტების გარეთ არსებულ კიბის საფეხურების ნაწილზე მსუბუქი კონსტრუქციებით მოსაწყობი და მოაჯირით შემოზღუდული ღია ფართის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილის საპროექტო დოკუმენტაცია.

ექსპერტი
ტექ. მეც. კანდიდატი,
საინჟინრო აკადემიის
აკადემიკოს-მრჩეველი,
აკადემიური დოქტორი,
ეკონომიკის სამინისტროს
განსაკუთრებული მნიშვნელობის
ობიექტების ექსპერტი მერაბ მამარდაშვილი

ლითონის პროფილების განლაგების გეგმა









	სწრაფი ჯვების ობიექტი "დანჯინ"	დედაენის ბაღი	ლითონის გამაბრების კონსტრუქცია	შპს "კიოსკ ჯორჯია" საიდ. კოდი 405404003	ფორმატი A-3 მაშტაბი 1:50

2 - 2



3 - 3



ხედი D - D



მოაჯირის დგარების განლაგების გეგმა



ხედი C - C



	სწრაფი ჯვების ობიექტი "დანჯინი"	დედაენის ბაღი	ლითონის გამაბრების კონსტრუქცია	შპს "კიოსკ ჯორჯია" საიდ. კოდი 405404003	ფორმატი A-3 მაშტაბი 1:50